სახალხო გაზეთი

№ 1105 შაბათი, 1 თებერვალი 1914 წ. №1105

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კვეკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სიდამოს ½ საათამდე დირს 3 მ. ½ საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ედირება ½ მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კვეკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავეპრო სახლის ლ. და ვ. მეტცლ და ამხ.-ების განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიახნიცკის ქ., ხ. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოდენი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასაბლის ქ., საბაჯიშვილის სახ. № 3.

ტელეფონი №12-29

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ. დამატებანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.
ყოველ-დღიურ საპოლიტიკო და სალიტერ.

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც
გაზეთს ეძლევა

სურათებიანი დამატება
(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელის მოწერილ მიღებულთა **სამი წიგნი**

პირველი წიგნი: „ძარცვული მწვრილები", რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი", ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიჩქარალი შარაჯანდღდი", ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

მეორე წიგნი: „უცხოეთის მწვრლები", რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი", ტრაგედია შილერისა, თარგმანი გერმანულიდან [illegible] შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებნი [illegible] უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: „სამეცნიერო ძრებული", ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8. 50	8.	7. 50	6. 75	6	5. 25	4. 50	3. 75	3	2. 25	1. 50	75.

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლა ტფილისისა ტფილისის გარეშე, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

სამი აგვანი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰსურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი.

ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიანთ გადახადონ ნაწილოგით მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის" კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, ბესავალი ეზოდან.

2) ქ. ზ. წ.-კ. გამგეობ. გამგეობის წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

[illegible] არ უსწავლია [illegible] ბავრებთან: მისი ნიკი [illegible]

ნინო ბესარიონის ასული და **ივანე ანდრიას ძე ყიფშიძენი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 2 თებერვალს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ დედის

თინათინ | ქაბატო | ქიტოაშვილის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება 12 ს. 58

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლი
დღეს, შაბათს 1 თებერვალს, გაიმართება

სალიტერატურო საღამო

I.

[illegible] „[illegible]" [illegible] **„[illegible] ... ბოლ. [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

მარიამ ლავრენტის ასული და კონსტანტინე ლავრენტის ძე არდაზიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი დედის

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲓᲐᲖᲘᲐᲜᲘᲡ
ᲐᲡᲣᲚᲘᲡ

გარდაცვალებას. მიცვალებულის დასაფლავება მოხდება კვირას, 2 თებერვალს, მიცვალებულს ანჩისხატის ეკლესიაში გაასვენებენ დილის 9 საათზე.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 1 ᲗᲔᲒᲔᲠᲕᲐᲚᲘ.

ხმები გამართლდა: მი-
კოკოვცევის ნისტრთა საბჭოს თავ-
გადადგომა. მჯდომარე კოკოვ-
ცევი სამსახურიდან გადადგა და მის ადგილზე დაინიშნა გორემიკინი. ამ ბოლო ხანებში რუსეთის გაზეთებში დაბეჯითებითა სწერდნენ, მინისტრთა შორის უთანხმოებაა, კოკოვცევის მდგომარეობა შეირყა, მის წინააღმდეგ მოქმედებს მემარჯვენე მინისტრთა ჯგუფი. გორემიკინის დანიშვნა ამ მემარჯვენე მინისტრთა გამარჯვებას მოასწავებს.

კოკოვცევის მმართველობა განსაკუთრებით თავისი რყევითაა დამახასიათებელი. იგი სახელმწიფო სათათბიროს უცხადებდა, მე ხალხის წარმომადგენლებთან ერთად მსურს მუშაობაო, მაგრამ ფაქტიურად კი მისი პოლიტიკური კურსი წარსულ მინისტრთა კურსისაგან არაფრით განსხვავდებოდა. დღევანდელი მდგომარეობა რუსეთისა ასეთია: არსებობს 17 ოქტომბრის მანიფესტი, საფუძველი რუსეთის კონსტიტუციონალიზმისა. რუსეთი ან განვითარების გზას უნდა დაადგეს და 17 ოქტომბრის მანიფესტი განახორციელოს, ან სრული რესტავრაცია მოჰხდეს. დღემდის ვერც სათათბირო და ვერც მთავრობა გარკვეულ გზას ვერ დაადგა. ეს ორი სტიქია ებრძვის ერთმანეთს; ბრძოლა სწარმოებს დიდსა და საყურადღებო საკითხებში, იგივე ბრძოლაა სჩანს წვრილმანებში. იყოს კონსტიტუციონალიზმი თუ არა,—აი კითხვა, რომელიც [illegible] გადასაწყვეტია, [illegible] იმისა, რომ არსებობს 17 ოქტ[illegible]ომბრის მანიფესტი. რუსეთის [illegible] პოლიტიკურ სფერებში [illegible] ებელი რყევა იყო და [illegible] ევის საუკეთესო გამომხატველად კოკოვცევის პოლიტიკა უნდა ჩაითვალოს.

კოკოვცევის გადადგომას და განსაკუთრებით კი იმ გარემოებას, რომ მის ადგილას დანიშნა გორემიკინი, სიმპტომატიური მნიშვნელობა აქვს. იგი ბოასნაგავებს გარკვეული პოზიციის დაჭერას. როგორცა სჩანს, უმაღლეს წრეების პოლიტიკური განწყობილება მარჯვნით გადაიხარა და შესაძლებელი გაჰხდა ცხადი მემარჯვენე პოზიციის დაჭერა. როგორ კონკრეტულ ფორმებს მიიღებს ახალი კურსი, ამის დაწვრილებით აღნიშვნა ძალიან ძნელია, მაგრამ იგი რომ უფრო გარკვეული იქნება და ამასთანავე ერთად უფრო მემარჯვენე, ეს ახლავე შეიძლება ითქვას.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ

29 იანვარს ქუთაისში დაიწყო იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია მღ. [illegible]ორეთეოზ ბერაძე. გაზეთი „ერი“ ასე აგვიწერს კრების პირველს დღეს:

„უპირველეს ყოვლისა, თავმჯდომარემ წინადადება მისცა დეპუტატებს, რათა კრებას, გარდა ჩვეულებრივ კითხვებისა, შეემუშავებია იმისთანა საჭირო კითხვები, რომელიც ამ ჟამად ჩვენი საეკლესიო საქმეების ანორმალური მდგომარეობით არის გამოწვეული. ასეთ კითხვებს შორის სამი თვალსაჩინო კითხვა აღიძრა: 1) ივერიის ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენა, 2) ალავერდის კათედრის აღდგინება და ყველგან ქართველ ეპარქიებში ქართველი ეპისკოპოზების დანიშვნა, 3) ჩვენი უკანონოდ დასჯილი ეპისკოპოზების და მამა არქიმანდრიტი ამბროსის სამშობლოში დაბრუნება.

ამ [illegible]ეტად საყურადღებო კითხვებში მხოლოდ უკანასკნელი შეიწყნარა მათმა მეუფებამ (ეპისკ. გიორგიმ) და კრებას მისცა ნება, რომ მის შესახებ მსჯელობა იქონიოს. დიდი აურზაური და აზრების შეხლა გამოიწვია იმ დეპეშის შედგენამ, რომელიც ეგზარხოსისათვის გასაგზავნად გამზადეს; კრების უმრავლესობა და პროგრესიული ნაწილი ამტკიცებდა, რომ დეპეშას სარჩულად მილოცვასთან ერთად ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობა უნდა დასდებოდა, უმცირესობა კი უარზე იდგა.

უმრავლესობისაგან შედგენილი დეპეშის შინაარსი ყოვლად სამღვდელოებამ არ შეიწყნარა და იმისთანა დეპეშა იქნა გაგზავნილი, რომელიც არც წყალია და არც ღვინო. საზოგადოდ ეს კრება ვერ იჩენს სიფხიზლეს, თუმცა არიან იმისთანა მღვდლებიც, რომელნიც მეტადგრად დგანან პროგრესის გზაზე. ეს კრება ორ თებერვლამდე გასტანს და ვნახოთ, რითი ისახელებს თავს“.

დიდის გულის-ტკივილით და მწუხარებით წაიკითხავს ყოველი შეგნებული ქართველი ზემო მოყვანილს ამბავს. იმედი გვქონდა, რომ ჩვენს მღვდელთ-მთავრებს ყველაზე მეტად ჰქონდათ შეგნებული ქართული ეკლესიის დღევანდელი აუტანელი მდგომარეობა და ყოველის საშუალებით ხელს შეუწყობდნენ ყოველგვარს ცდას და ნაბიჯს ჩვენი ეკლესიის უფლებათა აღსადგენად. ჩვენ გვეგონა, რომ ქართველი ეპისკოპოსები პირველნი ამოიღებდნენ ხმას და გაუძღვებოდნენ სამღვდელოებას. მაგრამ, როგორ სჩანს, მწარედ მოვსტყუვდით და როცა ერთად შეკრებილს სამღვდელოებას შემთხვევა ეძლევა ხელახლა დაუბრუნდეს თუმცა ძველსა, მაგრამ ისევ მუდამ ახალს საკითხს ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის (დამოუკიდებლობის) შესახებ, იმერეთის ეპისკოპოსი არათუ მხარს არ უჭერს მღვდ[illegible] მოთხოვნილებას და [illegible] ებს თავისი გავლენიანი [illegible]ით, არამედ ეღობება [illegible] სამართლიანს წინადადებას [illegible] და სტოვებს ეკლესიას [illegible]ევადელს განსაცდელშივე.

ეს მეტის მეტად სამწუხარო ამბავია და მასთან გაუგებარი ყველასთვის, ვისაც კარგად აქვს გათვალისწინებული ქართული ეკლესიის ეხლანდელი ბედი.

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამ რამდენიმე ხნის წინად პეტერბურგში ერთი დიდი სკანდალი მოხდა: სახელმწიფო საბჭოს წევრის დენისოვის შვილებმა შეურაცხყოფა მიაყენეს ერთს „წარჩინებულს გვამს“ (ამბობენ ეს კასო იყოო) რომელსაც დაახლოებული დამოკიდებულება ჰქონდა მათ დედასთან. ეს ამბავი ძლიერ გახმაურდა მაშინ, მთელი რუსეთის საზოგადოება ალაპარაკდა და ყველა დარწმუნებული იყო, რომ მინისტრი კასო ამ სკანდალის შემდეგ სამსახურიდან გადადგებოდა. მაგრამ ეს არ მოხდა, არ მოხდა ის, რაც აუცილებლივ მოხდებოდა „უკონსტიტუციო“ დროს, როცა მინისტრები ვერ გაუძღებდნენ ასეთს სკანდალს. მინისტრი არ გადადგა, მაგრამ დენისოვის ოჯახში დატრიალებული უბედურება არ გათავდა ტ, როგორც ჩვენი გაზეთების მკითხველებმა იციან უკვე, დენისოვის ერთმა შვილმა სტუდენტმა ვერ აიტანა მამის ოჯახის დამცირება და სხვას რომ ვერას გახდა, რევოლვერით თავი მოიკლა. მოხდა მეტად აღსაშფოთებელი ამბავი, გულშემზარავი და, რუსეთში რომ საზოგადოებრივი აზრი არსებობდეს და რაიმე ძალა ჰქონდეს, მედგრად მოითხოვდა ამ ამ ამბის მიზეზებს სრულს გამოაშკარავებას და დამნაშავის დასჯას. სამწუხაროდ ამის მსგავს ვერაფერს ვხედავთ და პოლიცია ჩვეულებრივად ათასგვარ ღონისძიებას ხმარობს საზოგადოებრივი აზრის ჩასახჩობად, კასო კი არხეინად იმყოფება და ახალი ცოდვა მის „სიწმინდეს“ ოდნავად არ ბღალავს.

გაზეთი „რეჩი“ სწერს:

„არავისთვის არაა საიდუმლო, რომ დენისოვის თავის მოკვლა არის ახალი ფაზისი (ხანა) იმ სკანდალისა, რომელიც მოხდა ბ. კასოს გარშემო და ასე ფართოდ გახმაურდა. მაგრამ ბ. კასო, როგორც სჩანს, დარწმუნებულია, რომ სკანდალის გახმაურება სრულებით არ უშლის ხელს თავის ადგილზე დარჩეს და წინანდებურად იზრუნოს რუსის ახალგაზდობის ზნეობრივ განვითარებისათვის“.

სწორედ, საკვირველ დროში ვცხოვრობთ და ახირებულია ჩვენი კონსტიტუცია, რომელიც თავისუფლებას თუ ინიჭებს ვისმე, მხოლოდ ბიუროკრატიას!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

✦ **საუღელტეხილო რკინის გზა.** 11 თებერვალს პეტერბურგში კრება ექმნება ახალ რკინის გზათა კომისიას, რომელიც, სხვათა შორის, საუღელტეხილო გზის საკითხსაც განიხილავს. ამის გამო ტფ. ქალაქის გამგეობამ ქალაქის საბჭოს წინადადება მისცა, გაჰგზავნოს პეტერბურგს ტფილისის ერთი წარმომადგენელი ამ საკითხისთვის მხარის დასაჭერად. ქალაქის საბჭომ დაადგინა, სიხოვოს ამ ჟამად პეტერბურგში მყოფთ, ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანს, თ-დ პ. ი. თუმანიშვილსა და სახელმწიფო სათათბიროს წევრს პაპაჯანოვს, რათა დაესწრონ ხსენებულ კრებას და მოითხოვონ, რათა საუღელტეხილო გზა ჩქარა განხორციელდეს.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრის ადგილი.** ამ ჟამად თავისუფალია, რადგანაც თ-დმა ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა ამ თანამდებობას თავი დაანება ახალ სასალახოს დირექტორად დანიშვნის გამო. ქალაქის საბჭომ დაადგინა, მის ნაცვლად ახალი წევრი აირჩიოს 10 თებერვალს. ამ თანამდებობაზე კანდიდატებად ასახელებენ ქალაქის მდივანს მ. ა. ჯაბარს და ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს გ. ნ. სტეფანოვს.

✦ **მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის** საროსწავლო კომისიას დღეს უკანასკნელი კრება აქვს. კომისიის მთელი ნამუშავარი 6 თებერვლისთვის კომიტეტს წარედგინება.

✦ **გრამოფონების საზოგადოებამ ტფილისში** [illegible] ამ დღეებში გურიიდან ჩამოვიდა 7 კაცისაგან შემდგარი გუნდი მომღერლებისა ზაქრო ფიფიშვილის მეთაურობით და ოცამდე სიმღერა ჩასძახეს. სიმღერები მოეწონათ და გურულები დააჯილდოვეს ოცი თუმნით. თუ სიმღერები ფირფიტებზე იქმნა გადაღებული, საზოგადოება გურულების კვლავ დაჯილდოვებას შეჰპირდა.

✦ რედაქციამ მიიღო წადვირის სატყეო სკოლის წესდება და პროგრამა. ამ სკოლას ჯანით სუსტ ბავშვესისათვის აარსებს ბ-ნი ზ. გ. არჯევანიძე. წესდება უკვე დაუტკიცებია სათანადო მთავრობას. მეცადინეობა დაიწყება 1 ივნისიდან.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.** ხარფუხის მცხოვრებთა შუამდგომლობის თანახმად ხარფუხის საზოგადო კლუბმა ქალაქის თვითმმართველობას სთხოვა, მხარი დაუჭიროს მათს შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ ხარფუხში, სადაც 50,000-მდე მცხოვრებია, გახსნან ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. მცხოვრებნი თანახმანი არიან განყოფილების მოსაწყობად ერთდროულად 2,000 მან. გაიღონ. ქალაქის გამგეობამ თავის მხრივაც საჭიროდ სცნო განყოფილების გახსნა და შესაფერი შუამდგომლობა აღძრა ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის წინაშე.

✦ რედაქციამ მიიღო იასონ კერესელიძის გამოცემული პატარა წიგნაკი: **„აჭარის მთავარი ახმედფაშა ხიმშიაშვილი“** შედგენილი ავქ. აბესაძის მიერ. წიგნაკი სუფთად არის გამოცემული, შინაარსიანია და ყველგან თითო შაურად გაიყიდება, თუმცა შეცდომით ზედ ორი შაური აწერია. გამომცემელს 1000 ცალი გადაუდვია აპარაში უფასოდ დასარიგებლად.

✦ რედაქციამ ძიიღო **ს. ერთაწმინდელის** 3 მოქმდ. დრამა **„წარსულის ნაგრევებზე“** გამოცემული კ. ა. ყიფიანის მერ. ფასი სამი შაური.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ

✦ **ამიერ-კავკ. სამელიორაციო** კრებების მომწვევ კომიტეტის კრება დანიშნულია 6 თებერვლისათვის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში. კრებაზე, სხვათა შორის, არჩეულ იქნება კომიტეტის თავმჯდომარე ნაცვლად სენატორ ვატაციისა, რომელმაც ამ თანამდებობას თავი დაანება.

✦ **ქალაქის საბჭო** ორშაბათს, 3 თებერვლის კრებაზე აირჩევს სატყეო-საბაღოსნო, სახალხო ჯანმრთელობისა და საპენსიო კომისიებს. ამავე კრებაზე საბჭო განიხილავს მოხსენებას იმის შესახებ, რომ ავჭალის წყალსადენზე ორთქლის მანქანები დიზელებით იქმნეს შეცვლილი.

✦ **სამღვდელოების შორის.** საქართველოს ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრებები გრძელდება. კრებამ მორიგ საკითხების განხილვამდე ორი კომისია აირჩია. პირველ კომისიაში, რომელსაც დაევალა სანთლის ქარხნის რევიზია, არჩეულ იქმნენ მღვდლები: ს. შოშიაშვილი, ი. გორგაძე და ბორისოვი. მეორე კომისიას დაევალა ტფ. დედათა საეპარქიო სასწავლებლის რევიზია. ამ კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: მ. მახათაძე, ნ. ხუციშვილი, ა. ბეგიზოვი და გოროდეცკი. კომისიები მუშაობას უკვე შეუდგნენ. კრებამ დაადგინა, თითო თუმნით დააჯარიმოს ის დეპუტატები, რომელნიც კრებაზე არ გამოცხადდნენ. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა სამარხის კასის დაარსების შესახებ. გადასწყდა, დაარსონ სამარხი კასა სამღვდელოებისა და მისი ოჯახობათათვის უბედურ შემთხვევისთვის. სამარხის კასის სასარგებლოდ თითო მღვდელმა ერთდროულად უნდა გადაიხადოს სამი მანეთი, ხოლო მთავარ-დიაკონმა და მედავითნემ—მანეთ-ნახევარი თითომ. ამის გარდა მღვდელმა ყოველწლიურად უნდა იხადოს კასის სასარგებლოდ 12 მან., ხოლო მთავარ-დიაკონმა და მედავითნემ—ექვსი მანეთი თითომ. 30 იანვარს სამღვდელოებამ სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადა ამ ერთის კვირის წინად გარდაცვლილ მღვდლის ზაქარია გულისაშკილის სულის მოსახსენებლად.

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების სკოლების ანგარიშები.** თანახმად საზოგადოების საასკოლო სექციის მოთხოვნისა წ.-კ. საზოგადოების გამგეობას დღემდე წარმოუდგინეს 1912 და 1913 სამოსწავლო წლის ანგარიშები და 19[illegible] [illegible]ლის [illegible] [illegible]ბა. [illegible] [illegible] ებმა: [illegible] [illegible] [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს სამკურნალო პერსონალსა და ინჟინერ-ტეხნიკოსებზე.

ხმ. ხარაზიანი. ვიდრე ქალაქის თვითმმართველობაში უწესრიგობა არსებობს, იმ დრომდე შეუძლებელია ჯამაგირების მომატებაზე ლაპარაკი. ჯერ მოსპეთ ეს უწესობა ნამდვილ მოსამსახურეებს მე ცოტას ვხედავ. ქალაქის თვითმმართველობის სამსახურში ბევრია მოწვეული სადეკორაციო მიზნისთვის. მოსამსახურენი დღეში სულ სამს საათს მუშაობენ. დანარჩენ დროს ლაპარაკსა და ბუფეტში სიარულს ანდომებენ. აქედან სჩანს, რომ მოსამსახურეთა რიცხვი გაცილებით აღემატება ნამდვილ მოთხოვნილებას.

ხმ. ხუნუცი იგონებს, რომ არსებობდა კომისია, რომელსაც შტატები უნდა გადაეთვალიერებინა, მაგრამ ეს კომისია გამგეობამ განზრახ დამარხა, რადგანაც საჭირო ცნობების მიუცემლობით მუშაობის საშუალება მოუსპო. შემდეგ ხმოსანი დასძენს: მე მადლიერი არა ვარ მოსამსახურეებისა, მაგარამ ამაში დამნაშავეა გამგეობა: კარგს პატრონს მუდამ კარგი მოსამსახურენი ჰყავს. ყოველი ცუდს გამგეობა ხელს აფარებს. ხშირად გამგეობას საბჭო წინადადებას აძლევს, ამა და ამ მოსამსახურეს სასარგებლო შუშაობისთვის შემწეობა მიეცითო. ჩვენც ვაძლევთ და შემდეგ კი, საბჭოს დარბაზის გარედ, თვით გამგეობა გვეუბნება, ერთგულ სამსახურისთვის კი არ მივეცით შემწეობა, არამედ იმისთვის, რომ ის თავიდან მოგვეშორებინაო.

ხმ. ათაბეგოვი აღნიშნავს, რომ ამ ორის წლის განმავლობაში მავნე სამსახურისთვის 20 მოსამსახურე დაითხოვა სამსახურიდან და ათის შესახებაც გამოძიება სწარმოეს.

კამათმა დიდხანს გასტანა, მონაწილეობა მიიღეს: ა. ბაბოვმა, დოლუხანოვებმა, ფიშერმა, რუსანოვმა, პოპოვმა და სხვებმა.

საბჭომ 54 ხმით, წინაადმდეგ ორისა (ხუნუცისა და ხარაზიანისა) უცვლელად დაამტკიცა გამგეობის მოხსენება ჯამგირების მომატებს შესახებ და დაადგინა, საჭირო ფული 35,000 მან. 1914 წლის ხარჯთაღრიცხვაში შეიტანოს.

3. ჯორჯაძის სურათების გამოფენა.

ამ დღეებში ქართული თეატრის ფოიეში გაიხსნა ახალგაზდა მხატვარის თავ. ვ. ჯორჯაძის სურათების გამოფენა. ჩვენი მხატვრული ცხოვრება იმდენად ღარიბია, რომ ყოველი გამოფენა სურათებისა თუ რაიმე ნახელავისა, რომელიც ქართველის ხელს ეკუთვნის, თვალსაჩინო მოვლენად უნდა ჩაითვალოს; მაგრამ ვ. ჯორჯაძის სურათების გამოფენა მით არის კიდევ საინტერესო, რომ ავტორს არ უსწავლია გარეშე ჩენილ მხატვრებთან; მისი ნიჭი გაფორთიერებულა მხოლოდ მისივე მეცადინეობით. ყველას მოეხსენება, თუ რა ძნელია რაიმე საქმის დაწყება უხელმძღვანელოდ, მით უმეტეს ხელოვნების დარგში. გამოფენა ერთი თვალის გადავ ლებით მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს და მხატვრის დიდს ნიჭს ამჟღავნებს.

ბ-ნ ჯორჯაძის სურათები ორ ჯურისაა: პორტრეტები და კომპოზიცია—ფანტაზიები. პირველი ხასიათის სურათები გაცილებით მაღლა სდგას. მხატვრულად მხრით. საუკეთესოა პორტრეტები გ—ძისა, ვ—ლისა, მხატვრის ძმისა და სხვა. ფერადები ისეთის ხელოვნებით არის შეზავებული, რომ სურათიდან სიცოცხლით სავსე თვალები გიცქერით. მეორე ხასიათის სურათები საუკეთესოა ფერადების ციალით, მათში „მხატვრის სული გამოსჭვივის. მშვენივრადაა, მაგალითად, ლურჯი და იისფერადები „სამსონ და დალილაში“. სურათების უმეტესობა ერთგვარ განცდას გაგრძნობინებთ; ასეთია „ვაკხანალია“, „ბალადა“. „იდილია“, „სერენადა“; რეალურად არის „ჯვარცმული ქრისტე“ და საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ ამ სურათებს თითქოს დაუმთავრებლობა ემცნევა, თითქოს მხატვარს დაჰზარებია დათავება და ესკიზებად დაუტოვებია. გარდა ამისა სურათების უმეტესობას მოდერნიზმის დაღი იზის, ჩვენის აზრით საქართველოს შვილს იმდენი საუკეთესო მასალა აქვს სრულებით დაუშუშავებელი, ჯერ გამოუქვეყნებელი და საჭირო როდია შორს წასვლა, საშუალო საუკუნოებისაკენ. უცხოელი მხატვრები ჩვენს ეკლესიების ფრესკებს გაოცებაში მოჰყავს. პეტერბურგში აინალოვი ან სხვა გამოჩენილი პროფესორები ამტკიცებენ, რომ აღორძინებას ეპოქის აკვანი საქართველოაო; ჩვენი ბუნების სიმშვენიერე და ჩვენი ისტორიის მრავალფეროვანობა, ხომ დაუშრეტელი წყაროა ხელოვნებისა და მწერლობისათვის.

ახალგაზრდა მხატვარს ვუსურვებთ წინსვლას და დარწმუნებულნი ვართ მისი ნიჭი სახელს მოუხვეჭს, თუ კი წრთვნასა და სწავლას განაგრძობს.

სოსო.

გათომელთა წარმომადგენელის სიტყვა

ქ. ყიფიანის იუბილეზე.

მეორე დიმიტრი თავდადებულის ღირსეულო შვილო!

ბათომის ქართველი საზოგადოება სარწმუნოებისა და მიმართულების ვანურჩევლად შენს სიცოცხლეში ამ ფრიად შესანიშნავს სადღესასწაულო დღეს წრფელის გულის სიღრმიდან სალამს მოგიძღვნის და შენის დიადის ღვაწლის კეთილ-ნაყოფიერების გამთვალისწინებელი უუგულთადიხს მადლობას მოგახსენებს... და ღირსიც ხარ მადლობისა, რადგან მთელი ორმოცდა ხუთის წლის განმავლობაში ი"შვიათის თავდადებით და სამაგალითო გულმოდგინებით შენს ზეგარდმო მადლით ცხებულის მსახიობური მოღვაწეობის მეოხებით ქართველის გულში თესლსა კეთილს სთესს... მრავალ წელთა განმავლობაში არა ერთი და ორი მძიმე და რთული როლი შეგისრულებია, როგორც ქართულ, ისე ევროპიულ დრამატიულ ნაწარმოებთაგან ოა სხვა-და-სხვა მომქმედი პირის სულისკვეთებანი და მისწრაფებანი სულიერ ხელოვნებით განგისახიერებია. სიყრმითვე მსახიობური მოღვაწეობის მიმართ ეშმარიტი სიყვარულით გამსჭვალულმა, შენ 1879 წელს ქართული სამუდამო სასცენო დასის დაარსებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღე და მასუკან ამ დასის ერთი საუკეთესო დამამშვენებელ გვირგვინთაგანი ბრძანდები...

ორავალ - წამებული საქართველო თუ წელში გაიმართა, შავ-ბედისწერას არ დაემონა, და ვერც წარიტაცა შავმან ყორანმან, ვით უმწეო მსხვერპლი, ეს უმთავრესად იმის გამოც მოხდა, რომ სასცენო მოღვაწეობა კარგა ხანია მის ცის ქვეშ ძლიერ კულტურულ ძალად ცნობილ იქმნა... და მან, ამ ძალამ, ხელი შეუწყო ქართველი ერის არა თუ მხოლოდ ზნეობრივს წვრთნას, არამედ მისს ნამდვილს ეროვნულ გათვითცნობიერებას. ეშმარიტად, ჩვენისთანა ბედში მყოფისთვის თეატრი ეროვნული სიცოცხლის დედაძარღვია, მისი არსებობის მუდამ საამურად მოჩუხჩუხე განმანყოიერებელი ნაკადულია... ქართული თეატრი შეიქმნა სკოლად: ის ზრდის ჩვენი ერის ფართო მასას, ძლიერებს მის გულში არა თუ მხოლოდ ეროვნულს, არამედ ადამიანურს შეგნებასაც... ამ სკოლის გავლენის გაფართოებასა და აღყვავებაში შენ, როგორც უუხიჭიერესს მსახიობს, დიდი წილი გიძევს... რადგან შენს სიტყვას ერთნაირის დაკვირვებით და აღტაცებით მოისმენდა ჩვენი ერის ყოველი წოდების და კლასის წარმომადგენელი...

ეჭვდაუდებელია, რომ შენი გული აღტაცებას განიცდის, როდესაც ტყობილობ, რომ დღითი-დღე შენი საყვარელი სასცენო საქმე ჩვენი ტურფა სამშობლოს სხვა-და-სხვა ქალაქსა და დაბაში ფეხს იკიდებს, რათა მოჰფინოს თვისი დიადი საკეთილო გავლენა მთელს ქართველს ერს... ბათუმის ქართველი საზოგადოება, როგორც მცხოვრები ისეთს მხარეში, რომელიც ჟამთა სიავის მეოხებით დიდს ხანს იყო მოწყვეტილი საერთო დედის-საქართველოს გულ-მკერდს, განსაკუთრებით გამსჭვალულია შენის სასცენო მოღვაწეობის მიმართ ღრმა პატივისცემის გრძნობით. აქაც, ძველს კლასიკურს, ოქროს მატყლოვანს კოლხიდაში, დიდი ხანი არ არის ჩაიდგა იმ დიდებული საქმის საძირკველი, რომლის თავდადებული მოპირნახულე ბრძანდები. აქაც შენი სულიერი შვილები, ახალ-გაზრდა მსახიობნი, სათავეში ჩაუდგნენ შენს საყვარელს საქმეს, რომელმაც მკვიდრთა შორის თანაგრძნობა და სიყვარული მოიპოვა.

ბათუმის ქართველი საზოგადოება, გიძღვნის რა თავმდაბლად მადლობას სასცენო მოღვაწეობისათვის, გისურვებს მრავალჟამიერ სიცოცხლეს მშობლიური სცენის დასამშვენებლად და დანარჩენი მხრის ქართველებთან ერთად ხმამაღლა გიღაღადებს:

„შაბაშ კაცი, შაბაშ სიტყვა,
შაბაშ საქმე მისგან ქმნილი!“

სამეურნეო ჟურნალის გამოცემის გამო

„სახ. გაზ.“-ის მე-1000 ნომერში წავიკითხე, ქართულ სამეურნეო საზოგადოებას გადაუდვია ორასი თუმანი ქართულ სამეურნეო ჟურნალის გამოსაცემად. ასეთი გადაწყვეტილება დიდად სასიამოვნო მოვლენაა ჩვენთვის, თუმცა მხოლოდ სამეურნეო ჟურნალი ქართველ მეურნეებს ვერ დააკმაყოფილებს, მეტადრე თუ ჟურნალი გამოვა თვეში ერთხელ ან ორჯელ და არა ყოველ კვირას. მიწის მომუშავე ხალხისათვის უფრო სასარგებლო იქნებოდა, თუ სამეურნეო საზოგადოება გამოსცემდა სამეურნეო ყოველდღიურ გაზეთს. სოფლად წერა - კითხვის მცოდნე პირებს, აგრეედვე სოფლის მასწავლებლებს, მუდდლებს და დიაკვნებს უფრო აინტერესებს პაწია სამეურნეო დასურათებული წიგნაკები. სამეურნეო საზოგადოება მიზანს უფრო მაშინ მიაღწევს, როდესაც ჟურნალთან ერთად გამოსცემს ქართულს ენაზე სამეურნეო წიგნაკებს, რომელის დღეს მოთხოვნილება დიდია. ამისთანა წიგნაკების გამოცემით საზოგადოების მოქმედება ერთად დაწინაურდება. დღეს-კი ჩვენში მეურნეობა მიმდინარეობს კუს ნაბიჯით. ავიღოთ ჩვენ მეზობლად დასახლებული გერმანელები. თუ მოსული ხალხი. ჩვენ მიწა-წყალში თავისი გონიერი მუშაობით მდიდრდებიან, ჩვენ-კი ქართველებმა მამა-პაპიდგან დასახლებულნი ვერ გავიდგით ფესვი თავის მიწა-წყალში, და სიღარიბეში ვართ. ამისთანა ბუნებით მდიდარ კუთხეში სულ ადვილად შეიძლება ხალხის სიღარიბიდგან დახსნა, თუ ქართულ და რუსულ სამეურნეო სოზოგადოებამ ერთად გასწია უღელი, მისცეს ერთმანეთს მხარი ჩვენში ძალზედ დაცემულ მეურნეობის აღსადგენად. ამასთანავე ორივე საზოგადოებამ ერთ დროულად უნდა გადასდოს თითომ ოცოცი თუმანი საბოსტნე თესლეულობის შესაძენად, ეს თესლეულობა უნდა უსასყიდლოდ დაურიგდეს სოფლად ცოტა ოდენა შეგნებულ პირებს, რომ მათ შემდეგ შეეძლოთ თავისუფლად თესვა, მოვლა, მოყვანა და მოხმარება. სოფლის ხალხმა ამ ათიოდე წლის წინად არ იცოდა რიგიანი კარტოფილის მოყვანა. დღეს-კი კართოფილი გლეხის და თავად-აზნაურობის ოჯახში შეადგენს უპირველეს საკმელს. სამაგიეროდ დღევანდლამდისინ სოფლელ გლეხკაცმა არ იცის რა ხილია ისპანახი და თალგამი, საკმელია თუ სასმელი. რომ მათ თვალით ენახნათ ან გეგგოთ ამ მცენარეების ღირსება, მაშინ მათი დედაკაცები და გოგოები ხელში კალათებით არ მოეფინებოდნენ გაზაფხულობით ტრიალ მინდვრებს და არ მოჰკრეფდნენ უბრალო ბალახს, რომელსაც სოფლად ეძახიან „კობრჩხილას“. სოფლად ყველასა აქვს სამყოფი მიწა-წყალი, მაგრამ გულს ვერ იდებენ ბოსტნეულობის მოყვანას, და არც სამყოფი თესლეულობა აქვთ. ყველა სოფლის დედაკაცმა თითო ოროლა აბაზის თესლეულობა რომ შეიძინოს, მთელ ზაფხულის განმავლობაში საკმელადაც ეყოფა და სათესლედაც. როდესაც ყველა ოჯახის დიასახლისი შეიძენს თესლეულობას, სამეურნეო საზოგადოების დახმარება საჭირო აღარ იქნება. თუ ჩვენი ქართველი სამეურნეო საზოგადოება სხვა და სხვა მიზეზების გამო შეუძლებლად სცნობს ამისთანა საქმის აღორძინებას, მაშინ მან უნდა იშუამდგომლოს მიწად-მოქმედთა დეპარტამენტის წინაშე, ითხოვოს ამისთვის საჭირო თანხა სამეურნეო დარგების გაუმჯობესებისათვის. როგორც ვაკვირდები დღევანდელ სოფლის ცხოვრებას, გლეხკაცები გულით მოწადინებულები არიან მიწების შეძენას, ხეხილების ბაღების და ვენახების ახალ წესით მოშენებას, ბოსტნეულობის მოყვანას, მაგრამ ხელის შემწყობი არავინ არა ჰყავთ. საზოგადოების მოქმედება მათ ყურამდისინ ვერ მიდის, ვერრ ინსტრუქტორების პირით, ვერც სამეურნეო გაზეთების და ვერც წიგნაკების შემწეობით. ამ სამ ოთხ წლის წინად სოფელი გლეხები ეზოში მოგროვებულ საქონლის ფეინს ტყუილად ჰყრიდნენ აქეთ იქით, დღეს ყველამ გაიგო მისი ღირსება, ეზიდებიან სახნავ მიწებში და ვენახებში, ამის გამო საქონლის ფეინი ისე დაძვირდა, რომ გასასყიდადაც აღარ იშოვება და ვინც ჰყიდის, ისიც ცეცხლის ფასად. ამის გამო საგლეხო ბანკის მამულის გამგემაც ასწია ფასი ცხვრის დრემლზედ. დღეს ცხვრის დრემლს საგლეხო ბანკი ჰყიდის ურემს ათ შაურად, მაგრამ ესეთივე დრემლს მეგბატონები ჰყიდიდნენ ურემს სამ შაურად—აბაზად. ეგრევეა ძეძვის გაყიდვაზედ. ბატონები ჰყიდიდნენ გლეხებზედ ას კონას ექვს შაურად, საგლეხო ბანკი ჰყიდის ათ შაურად და სამ აბაზად.

სასუქის ასეთი სიძვირის გამო, ქართულ და რუსულ საზოგადოებამ უნდა მონახოს იმისთანა წყარო, რომლის შემწეობითაც ჩვენ მემამულეებს მიაწოდოს ხელმისაწდომ ფასად სხვა და სხვა საუკეთესო სასუქი მიხდვრების და ბოსტნეულობის გასაპატიებლად. მარტო ამისთანა დახმარებით საზოგადოების მხრივ შეიძლება სოფლად მეურნეობის დარგის გაუმჯობესობა, უიმისოდ ყველა შრომა და მოღვაწეობა საზოგადოებისა უნაყოფო იქნება.

ბალოსანი **არ. დარეჯანაშვილი.**

კოკოვცევის გადადგომა

(დეპ. პეტერბურგ. საგენტოსაგან).

30 იანვარი.

პეტერბურგი. თანახმად თავის თხოვნისა კოკოვცევი გაანთავისუფლეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და ფინანსთა მინისტრის თანამდებობისაგან. კოკოვცევს ებოძა გრაფობა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრი სტატს-სეკრეტარი გორემიკინი; ფინანსთა მინისტრად დაინიშნა ვაჭრობის მინისტრის ამხანაგი ბარკი.

პეტერბურგი (ოფიციალური ცნობა). უმაღლესი რესკრიპტი გრაფ კოკოვცევს: „გრაფ ვლადიმერ ნიკოლოზის ძეს! ათი წლის წინად მოგანდეთ ფინანსთა სამინისტროს მართვა-გამგეობა. ეს მოვალეობა ყოველთვის რთულია და პასუხის საგები. ომისა და შინაურ არეულობის დროს, მიუხედავად მრავალ სიძნელისა, თქვენი მოვალეობა ი"შვიათის მუყაითობით შეასრულეთ. საქმისადმი გულმოდგინეობისა და დამზოგველობის წყალობით სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში, რამდენიმე წლის განმავლობაში, შემოსავალმა ხარჯს გადააჭარბა და სახელმწიფო ხაზინის თავისუფალი თანხა არა ჩვეულებრივად გაიზარდა. ვაფასებდი რა თქვენს მოღვაწეობას, სტატს-სეკრეტარ სტოლიპინის გარდაცვალების შემდეგ, მოგიწოდეთ თქვენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობის აღსასრულებლად. ჩასდექით რა სამინისტროს სათავეში, მინისტრთა საბჭოს მუშაობის ხელმძღვანელობაში შეიტანეთ თქვენი ფართო სახელმწიფოებრივი გამოცდილება და კეთილგონივრული სიფრთხილე. ეხლა მწუხარებით ვასრულებ თქვენ თხოვნას ჯანსაღობის დარღვევის გამო თანამდებობიდან გადადგომაზე და მთელი რუსეთის სასარგებლო მოღვაწეობისათვის გრაფობას განიჭებთ. ვიმედოვნებ, კვლავ მოვისმენ თქვენს რჩევას რთულ საკითხებში, რომელთა გადაწყვეტას ხელს შეუწყობს თქვენი ცოდნა, გამოცდილება და ნაწრთობი ერთგულება.

დავშთები მარად კეთილ მყოფელი.“

საკუთარი ხელით აწერია—**„თქვენ პატივისმცემელი და მადლიერი ნიკოლოზი“.**

პეტერბურგი. (ოფიციალური ცნობა). უმაღლესი რესკრიპტი ფინანსთა მინისტრს ბარაკს: „პეტრე ლეონიძეს! წარსულ წელს ღვთის წყალობით ვიმოგზაურე ველიკორუსთა რამდენიმე გუბერნიაში, რამაც შეძლება მომცა ახლო გავაცნობდი ხალხის ცხოვრების პირობებს. დიდის სიხარულით შევნიშნე ჩემი ნიჭიერი ხალხის შემოქმედებისა ან შრომის ძლევამოსილობის ნათელი მხარეები. მაგრამ ამასთან ერთად ღრმად მწუხარებით დავინიხე შესაზარი სურათები ხალხის უძლურებისა, ოჯახურ სიღატაკესი და მოუვლელ მეურნეობისა; ეს აუცილებელი შედეგია ლოთობის გავრცელებისა. ხალხი გაჭირვების დროს მოკლებულია ნივთიერ დახმარებას. რათა შეძლება მიეცეთ ჯეროვანად მიღებულ კრედიტის საშუალებით ღვთისა ან ხალხის წინაშე ჩემს მოვალეობად დავსახე დაუყონებლივ ძირიანად შეიცვალოს სახელმწიფოს საფინანსო და საეკონომიო მართვა-გამგეობა. ჩემ საყვარელ ხალხის საკეთილდღეოდა შეუძლებელია ხაზინის კეთილდღეობა დამყარდეს ჩემ მრავალ ერთგულ ქვეშევრდომთა სულიერ და ნივთიერ გაღატაკებაზე; ამის გამო საჭიროა საფინანსო პოლიტიკამ მიზნად უნდა დაისახოს ეს გამოძებნა სახელმწიფო სიმდიდრეთა, გამოძებნა ხალხის ნაყოფიერ შრომით. ამასთანავე უნდა დაცული იყოს დამზოგველობა. სახელმწიფოს მწარმოებელ ძალთა განვითარება უნდა დაკავშირებული იყოს ხალხის საჭიროებათა დაკმაყოფილებასთან. ასეთი უნდა იყოს მიზანი სასურველ ცვლილებისა. მის განხორციელებისა და აუცილებლობაში მით უფრო ვრწმუნდები, რომ სახელმწიფო საბჭო და სათათბირო ცხოველმყოფელობით გამოეხმაურა ლოთობასთან საბრძოლველ კანონ-პროექტს. გაკისრებთ რა თქვენ ამ მოვალეობას, იმედი მაქვს თქვენის ცოდნითა და გმოცდილებით გაამართლებთ თქვენდამი ჩვენს ნდობას“.

საკუთარის ხელით მოწერილი აქვს „ნიკოლოზი. ცარსკოე სელო. 30 იანვარი, 1914 წ.“

პატარა ფელეტონი

ბათომი და ტფილისი

ამას წინად ბათომში ვიყავი. ღრუბლებით დაბურული უმზეო ცა. ამის გამო პირ-ქუში ზღვა და უმოძრაო, უსიცოცხლო ქუჩები.

ერთ დროს აქ სიცოცხლე სდუღდა და სჩქეფდა.

ბათომის გარშემო ლამაზი, ჩაის პლანტაციებით მოფენილი მთები თვალს იტაცებს. ვრცელი, მყუდრო ნავსადგური გემებით. დიდი ხომალდები უძრავად დგანან, თითქო გზა დაჰბნეოდათ, ბათუმში შემთხვევით შემოსულან და სირცხვილით ადგილიდან არ იძვრიან. როგორც მთელ ბათუმს, იმათაც თანდათან ძილი ეკიდებათ.

ბათომის შუა ქუჩებზე მცირე მოძრაობაა, დანარჩენებზე კი ცარიელობაა. ერთ ვრცელ ქუჩას გადავავლე თვალი. გამვლელი არა სჩანს. დიდი სახლის კარის წინ, ქვაფენილზე, მთელი ოჯახი გამოსულა: მამა, დედა პაწია შვილებით; მათთან ერთად ვიდაც სტუმარი. დიდები გამოტანილ სკამებზე სხედან და მასლაათობენ. ბავშვები თამაშობენ. არავინ ხელს არ შეუშლის ამ ოჯახს: ქუჩა მისი ეზოა.

ბათომის ცხოვრებაში დღევანდელი მომენტი საყურადღებოა. მქუხარე, მოქმედების, მოძრაობის შემდეგ იგი თითქო ისვენებს, სძინავს, ძალღონეს იკრებს.

თვალ-უწვდენი ზღვა, მშვენიერი, თვალ-წარმტაცი მიდამოები, შესანიშნავი ნავსადგური თავდებია იმისა, რომ აქ დიდხანს ძილი არ შეიძლება. ბუნებას ეს კუთხე დაუღალავი მოძრაობა-მრეწველობისათვის გაუჩენია.

დღეს კი ზღვის რბილი ტალღები ნაზად ნანას უგალობენ მძინარე ქალაქს.

დროებითი მყუდროებაა ზღვაზე. დროებითი ძილია ბათომში.

დღეს რბილი და ნელი ტალღა ზღვისა მალე მგრგვინავ ძალად გადაიქცევა. შიგ ზღვაშია დაცული ამ მქუხარების შეძლება.

თვითონ ბათომის ბუნებაში ინახება მისი გაღვიძების შესაძლებლობა, მისი ვაპრობისა და მრეწველობის ამოძრავების თავდები.

დღეს კი ბათომის ქუჩებზე მოსიარულეთ სძინავთ, ბურანში არიან, არ იციან რა გზას დაადგნენ; ძილში ერთმანეთს გზას უცლიან: თითქო ეშინიათ არ დაეჯახნენ ერთმანეთს და უდროოდ არ გაიღვიძონ.

დღევანდელი ბათომი წინანდელი ბათომის ლანდია.

სინდისის ქვეშ რომ ვსთქვათ, განა ჩვენ, ქალაქელები, ბათუმელებზე მაღლა ვდგევართ? ბათუმელების ცხოვრება-უძრავი, უსიზმრო, ჩვენი კი—მოძრავი, სიზმრიანი ძილია. ჩვენი ქუჩები მგრგვინავი მოძრაობითაა სავსე, მაგრამ ყველა ეს მკრთალი, გარეგნულია. ჩვენი შინაგანი ცხოვრება კი ბათუმის ცარიელ ქუჩებსა ჰგავს. ჩამოცალეთ ქალაქს მისი ტრამვაი, მრავალი ეტლი, ფუტი ხმაურობით აღსავსე გაზეთები, და ბათომელებსავით მძინარე ქალაქელები შეგრჩებათ ხელში.

ბათომელები ამ მხრივ უფრო გულ-წრფელი ხალხია. სძინავთ და თავის ძილს აშკარად ამცნევენ ქვეყანას. ჩვენ კი გვძინავს და ფუტი ხმაურობით გვინდა ქვეყანა მოვატყუოთ, თითქო ძილი შორს იყოს ჩვენგან.

ძილში ადამიანი ხომ ბუმბულზე უფრო მჩატეა: სულ უმნიშვნელო მოვლენას, სულ პაწია რამ ძალას შეუძლიან იგი ყირამალა გადაატრიალოს. როცა თქვენ თავს სიზმარში ჰხედავთ, ხომ ნათლად ამჩნევთ, რომ თქვენი თაყის ბატონ-პატრონი არ ბძანდებით, სხვის ნებაზე მოძრაობთ და მოქმედებთ. სიზმარში არა ჩანს თქვენი პიროვნული „მე“, ამ პიროვნების შემქნელი მოძრავი, დამოუკიდებელი ძალა. სიზმარი იმით განირჩევა ცხადისაგან, რომ იგი უინერგიო, ძალამოკლებული მოძრაობაა. იგი ნამდვილი მოძრაობა კი არა, მოძრაობის მკრთალი ლანდი, უსიცოცხლო სურათია. ამ მხრივ სიზმარი ძალიან ჰგავს კინემატოგრაფის სურათებს, სადაც ცხადად სჩანს მოძრაობა და არა სჩანს ამ მოძრაობის შემქნელი ძალა, ენერგია.

ჩვენი ქალაქის ცხოვრება—მრავალფეროვანი, ბათომისა კი—ერთფეროვანი კინემატოგრაფია.

მაგრამ როგორც ბათომში იმისი ბუნება, ისე ქალაქშიაც ადამიანის ბუნება გაღვიძების თავდებია. დიდხანს ძილი არ შეიძლება სულით, დაცემის ხანას ყოველთვის სულით. ამაღლების ხანა მოსდევს. ასე იყო ყველგან, ასე იქნება ჩვენშიაც. ეს არის ერთად ერთი ჩვენი ნუგეში და იმედი.

დასკვნა მოულოდნელია მკითხველისათვის. სად არის ამ გაღვიძების თავდები?

იმაშია, რომ ძილში ყველანი ვკვნესით, რომ ჩვენი ძილი მაჯლაჯუნაა; მაჯლაჯუნა კი ადამიანს არ ჰკლავს. როგორც მძინარე სხეულის შინაგანი ძალა მაჯლაჯუნას ებრძვის და ბოლოს და ბოლოს ცხოვრებისათვის გამოაღვიძებს ადამიანს, ისე ადამიანის სულის შინაგანი ძალაც ბოლოს და ბოლოს შეებრძოლება ძილის შავ-ბნელ მაჯლაჯუნას და სულიერ ცხოვრებისათვის გამოაღვიძებს ადამიანს.

ამის თავმდებია თუმც დღეს მძინარე, მაგრამ ამ ძილში მაინც მკვნესარე ჩვენი ადამიანური სული.

ილია ნაკაშიძე.

მოზერილი ამბები

ს. სიონი. (ხევი) სიონის საზოგადოება შეუდგა მზადებას მასწავლ. **ა. კვაჭაძის** თხუთმეტი წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად. ა. კვაჭაძე როგორც მასწავლებელი და მშრომელი მუშაკი ღირსია იმ პატივისცემისა, რომელხაც მას უმზადებს ს. სიონის საზოგადოება. იმედია, მთელი ხევი, განსაკუთრებით ხევის სოფლების მასწავლებლები და ინტელიგენცია დაესწრება ამ დღეს, რომელიც გაიმართება ყველიერში. ს. სტეფანწმინდა, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს ხევში, რასაკვირველია, მიიღებს მონაწილეობას და გულიმხურვალედ მოეკიდება ამ საქმეს.

გვირაბელი.

უცხოეთი

შვეიცია.

დემონსტრაცია რუსეთის წინააღმდეგ.

შვეიცის სატახტო ქალაქში სტოკჰოლმში შეიკრიბა 31000 გლეხი, რომელნიც ჩამოვიდნენ სამეფოს ყველა კუთხიდან. ძათ ვეებერთელა მანიფესტაცია მოახდინეს იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი მზად არიან გამოიღონ ხარჯი სახელმწიფოს დაცვის გასაძლიერებლად და მოითხოვეს შესაფერი ზომების დაუყონებლივი მიღება.

წირვების და პარაკლისების გადახდის შემდეგ გლეხები ვეებერთელა პროცესიით შვეიცის 24 პროვინციის დროშებით გაემართნენ მეფის სასახლისაკენ, სასახლის ვეებერთელა ეზოში ისიხი ინახულა მეფემ.

გლეხების წარმომადგენლებმა მეფეს სიტყვით მიმართეს: აღნიშნეს დემონსტრაციის მნიშვნელობა, სამშობლოსადმი სიყვარული, უქვეშევრდომილესი გრძნობანი მეფისადმი და განაცხადეს, რომ გლეხები მზად არიან შესწირონ მსხვერპლი, სამშობლოს დაცვისათვის საჭირო, მაგრამ ამასთანავე მოითხოვენ საკითხის დაუყონებლივ გადაწყვეტას.

მეფემ მადლობა გადაუხადა გლეხებს გრძნობების გამოცხადებაში. აგრედვე აღნიშნა, რომ სრულებით იზიარებს გლეხების თვალსაზრისს, და იგი მზადაა ზომები მიიღოს. მეფის სიტყვამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მანიფესტანტებში, რო-

მელნიც აქედან მინისტრ-პრეზიდენტთან გაემგზავრნენ. მინისტრ სტაფმა გლეხებს განუცხადა, რომ ვერ გაიზიარებს მათ შეხედულებას: სახელმწიფოს დაცვის საკითხი სამხედრო უწყებამ უნდა გადაწყვიტოს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს აგრედვე სამოქალაქო უწყებაც. შედეგ მინისტრმა გამოსთქვა იმედი, რომ თავდაცვის გეგმა შეძლებას მისცემს შვეიცაის სამხედრო ძალებს ნამდვილად დაიცვან მხარე, რაც მათი ერთად ერთი მიზანია, მინისტრმა მოუწოდა გლეხებს ფრთხილად მოეპყრან გადაპარბებულ ხმებს შვეიცაში ჯაშუშობის შესახებ. საღამოს ყველგან, კაზარმებში და სამხედრო სკოლებში მანიფესტაციები ხდებოდა, რომელზედაც ცხარე სიტყვები წარმოითქვა.

სოციალისტები და რადიკალები აწყობენ საპროტესტო მიტინგებს. ისინი ამბობენ, რომ შეუძლებელია სამხედრო ხარჯების გაძლიერება, რასაც ისინი უსარგებლოდ სთვლიან; აგრედვე სამხედრო სამსახურის ვადის გაგრძელებასაც.

რუსეთის გაზეთების სიტყვით, ეს მანიფესტაცია გამოწვეულია რუსეთის საწინააღმდეგო პარტიის აგიტაციით და მიმართულია მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ.

რუსეთი

ტრაგედია დენისოვთა ოჯახში.

გუშინ ჩვენ გაზეთში იყო მოყვანილი ცნობა, სახელმწიფო საბჭოს წევრის დენისოვის 'მვილმა თავი მოიკლაო ეს ამბავი პეტერბურგს სისწრაფით მოედო. ყველას აღელვებს ეს ამბავი. განსაკუთრებულის თანაგრძნობით ეპყრობიან განსვენებულს სტუდენტ დენისოვს. პანაშვიდებს აუარებელი ხალხი ესწრება. პირველ პანაშვიდზე ასეთი ამბავი მოხდა. ნათესავებსა, ამხანაგებსა და ნაცნობთ გარდა პანაშვიდს დაესწრნენ სხვა და სხვა უწყების წარმომადგენელნი, მათ შორის, სახალხო განათლების სამინისტროს მოხელენიც. უკანასკნელთა შორის იყო სამინისტროს თვალსაჩინო წევრი ბ—სი. დენისოვის უფროსმა ვაჟმა მამას სთხოვა, დაეთხოვნა სახლიდან განათლების სამინისტროს მოხელენი, რადგანაც მაგათ სამსახური ტედაჩების პროტექციითა აქვთ მიღებული. განათლების უწყების წარმომადგენელნი იაბიხვე დაითხოვეს. ამ ამბავმა ძლიერი შთაბეჭდილება ძოახდინა დაესწრეებზე.

სახელმწიფოს საბჭოს წევრს დენისოვს ეახლა სტუდენტთა დეპუტაცია და სთხოვეს, ხეება მიეცა მათთვის, ბორიგებით ყოფილიყვნენ გახსვენებულ ამხანაგის ცხედართან და კუბოც იმათ გაესვენებინათ სადგურამდე. პირველი თხოვნა დენისოვმა შეუსრულა, ძეორეზე კი ურჩია, ნებართვისათვის ადმინისტრაციას მიჰმართეთო. ამასთანავე სთხოვა სტუდენტებს, დაკრძალვის დღეს არაფერი ბოიახდინოთ, ან მახიფესტაცია ან რაიმე ურიგობა, ეს გახსვენებულის დაკრძალვის წესრიგს დაარღვევსო.

განსვენებულმა დასტოვა წერილი, სადაც თავის დედის საქციელს ამჟღღვნებს. წერილს არ აქვეყნებენ.

საჯარო განმარტება

გთხოვთ ამ განცხადებას ადგილი დაუთმოთ ბ-ნ ს. ა—ნის მიერ „სახალხო გაზეთში“ № 1101 დაბეჭდილ და ჩვენდამი მომართულ შენიშვნის გამო, რადგანაც ამ 8 მ. 50 კ. ბეჭნიერულებამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია გაზეთის ფურცლებზედ უფასო სასადილოს გაბგე კომიტეტმა შეუძლებლად სცხო ამ საკამათო საგანში გარევა და ფულის მიღება, როგორც თავ. ი. თარხანოვისაგან, ისე ბ-ნ ს. ა—ნისაგან. და რომ სასადილოს არ დააკლდეს ეს ფული, თვითონ გამგე კომიტეტმა აუნაზღაურა 8 მ. 50 კ. საზოგადოებას.

ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს გამგე კომიტეტი.

ლეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. საგენტოსაგან).

31 იანვარი.

უცხოეთი.

ლონდონი. დამშეულთა დემონსტრაცია ქალაქის რამდენიმე უბანში განმეორდა. დიდი არეულობა მოხდა სტრატელეკის მოედანზე. ზოგიერთ ქუჩებზე ბრბო იკლებდა მაღაზიებსა და ფანჯარებს ამტვრევდა. „პრიკარპადსკი რუსი“ იტყობინება, რომ შიმშილობის გამო თავი იჩინა სახადის ეპიდემიამ; უკმეოლობით საქონელი იხოცება.

ლონდონი. საღამოს გაზეთების სიტყვით, ეკუადორში რევოლიუციამ იფეთქა. ესმარალდოს ნავთსადგურს ზარბაზნებს დაუშენენ.

ოსაკა. გაიმართა მიტინგი, რომელსაც 20,000 კაცი დაესწრო. მიტინგმა დაადგინა, მოითხოვონ სამრეწველო გადასახადის მოსპობა. მიტინგის შემდეგ ბრბო შეეცადა აეკლო სეუიკის პარტიის და დეპუტატთა სახლი და სიმენსის ფირმა; პოლიციამ ხელი შეუშალა. პოლიციასა და ბრბოს შორის შეტაკება მოხდა. დაიჭრა 37 პოლიციელი და 56 დემონსტრანტი.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, სტამბოლსა და ათინაში დიდ სახელმწიფოთა ელჩებს არ მიუღიათ მოწერილობა ალბანეთისა და ეგეის კუნძულთა საკითხზე. გრეის პროექტი უკვე შედგენილი აქვს; სახელმწიფოებმა განიხილეს პროექტი და მოიწონეს.

ლორდთა პალატაში მსჯელობენ მილდტონის შესწორების თაობაზე. ლენდლდოუნის აზრით, მთავრობამ უეჭველად უნდა შემოიტანოს შეთახმების წინადადება, რადგანაც დაყოვნება საქმეს გაართულებს. სოლდენმა სთქვა: ვიდრე ოპოზიციამთავრობას ეწინააღმდეგება პრინციპიალურს საკითხში, შეთანხმება ყოველად წარმოუდგენელია.

ბერლინი. ამ დღეებში დაარსდა გერმანელ-სომეხთა საზოგადოება. საზოგადოებას მიზნად აქვს გერმანელებს გააცნოს სომხების მდგომარეობა ოსმალეთში. საზოგადოება დაარსა სომეხ-გერმანელთა კომიტეტმა, რომელიც იცავდა სომხეთის რეფორმათა შესახებ რუსეთის პროექტს.

ლონდონი. ჰომრულის თაობაზე კამათი გრძელდება. კარსონმა განაცხადა: საქმის ოდნავად გაუმჯობესება იმით მტკიცდება, რომ მთავრობამ მდგომარეობა სახიფათოდ სცნოო. თუ ულსტერს აიძულებენ დაემორჩილოს დუბლინის პარლამენტის კანტროლს, მაშინ მიუხედავად შედეგისა ულსტერი თვისი მცხოვრებელებით წინააღმდეგობას გაუწევენ ამასო. რედმონდმა სთქვა: მეფეს სიტყვამ გაოხმაურება ჰპოვა ირლანდიის ნაციონალისტთა გულში; მათაცა ჰსურთ საქმე მშვიდობიანად მოგვარდეს. შეთახმების საქმის თაოსნობა თავრობამ იკისრა; უკეთესი იქნებოდა ოპოზიციისთვის მიგვენდო ეს თაოსნობა. რედმონდს არა სასურველად მიაჩნია ბილიდან ულსტერის გამორიცხვა. ლოიდ-ჯორჯმა ულსტერის გამოყოფვის თაობაზე სთქვა: ამ საკითხზე გარკვეულ პასუხის მიცემა უფრო შეაფერხებს მშვიდობიანობის საქმეს, ვიდრე ხელს შეუწყობს მის განმტკიცებას. წინადადებათა მიღებისა თუ უარყოფის პასუხის მგებლობა მთლად დააწვება კისრად ოპოზიცია (ოპოზიციის სკამებზე დაცინვა ისმის). მთავრობა დათმობის საქმეში უკიდურესობამდის მივა, რამდენადაც შეეფერება ბილის დედა აზრს, მაგრამ ვერ უღალატებს ირლანდიელთა უმრავლესობას, რომელიც მთავრობას ენდობა.

ბონარ-ლოუმ აღნიშნა მდგომარეობის სირთულე და სთქვა: ოპოზიცია თვის პასუხისმგებლობას ჰგრნობსო. ბილის მიღებით შემოღებული იქნება ფედერატიული სისტემა; ერთად ერთი გზა ამის მისაღწევად ის არის, რომ ულსტერს თავი დაანებონ ვიდრე მთლად არ განხორციელდება ფედერაციული სქემა; როდესაც ეს განხორციელებული იქნება, მაშინ შეიძლება მოვითხოვოთ, რომ ულტერიც შეუერთდეს ამ სქემას. მთავრობას ხელოდ ორი მოსაზრება აქვს: ისეთი წინადადება შემოიტანოს, რაიც აიცდენ სულსტერის წინააღმდეგობას, ან წარუდგეს ერის მსჯავრს. ლონგის შესწორება პალატის უმრავლესობამ უარჰყო.

ლორდთა პალატის სხდომები გადაიდო.

მარმაროშ-სიგეტი. უგორორუსთა საქმე. მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა გრძელდება.

სოფია. „კაბანაში“ დაბეჭდილია წერილი „რუსეთის ოქრო ბულგარეთში“. გაზეთი სწერს: დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ ყოველგვარ მტარვალობის მოწინააღმდეგე ჯგუფის წევრნი რუსოფილებად გახდნენო. ჩვენო, სწერს გაზეთი, ამის თაობაზე ბევრი რამ გამოვამჟღავნეთ, ეხლა ახალ ცნობებს მოვიყვანთო. გაზეთი აცხადებს, რომ რუსეთის მისიამ სოფიაში მიიღო სტამბოლის რუსთა საელჩოსაგან, ბელგრადისა და ბუქარესტის მისიებისაგან 1913 წლის ნოემბრის სახალხო ბანკის საშუალებით 655.000 ფრანკი. აქედან დანევს გადაეცა 120.000 ფრ., ერთ გაზეთს 85,000, მეორეს—110.000 ფრანკი სამი პარტიის ლიდერებს 70.000, 45,000 და 120,000 ფრანკი. გაზეთის სიტყვით, რუსთა პროპაგანდის მიზანია ფერდინანდის მეფის ტახტიდან გადადგომას მიადწიოს და მოისყიდოს რუსეთის მომხრენი. ამის შემდეგ ბულგარეთის გაზეთებში ცნობები იყო მოყვანილი, ვითომც სერბია ბულგარეთს დაუთმობს მაკედონიის ნაწილს იმ პირობით, თუ კობურგის მეფეთა საგვარეულო გინდევნება და დამკვიდრდება ბულგარეთის მეფედ რუსეთის დიდი თავარიო.

შენიშვნა. პეტერბურგის სააგენტოს სარწმუნო წყაროებიდან შეუტყვია, რომ ზემოაღნიშნული ცნობები ბოროტის განზრახვით არის მოყვანილი და სინამდვილეს სრულიად არ შეეფერება.

რომი. ფრაქციებში დასრულდა მთავრობის კანონ-პროექტის განხილვა. ამოირჩიეს 7 მოსახრე სამინისტროსა და ოპოზიციის ორი წევრი. 186 ხმა პროექტის მოხრეა, 187 წინააღმდეგი.

სტამბოლი. ოსმალეთმა მიიღო რუსეთის პროექტი სომხეთის რეფორმის თაობაზე.

ვენა. „კორესპონდენც-ბიუროს“ ლუბლიანიდან ატყობინებენ: პრინც ვიდის დასახვედრად მოსულ დეპუტაციას ხალხი აღტაცებით შეჰხვდა. ესად-ფაშა უდგას დეპუტაციას სათავეში. ესად-ფაშამ სიტყვა წარმოსთქვა: აღნიშნა დღევანდელ დღის ისტორიული მნიშვნელობა და სთქვა, რომ პრინც ვიდის მოსვლის შემდეგ დაიწყება ალბანეთისთვის ახალი ისტორიული ხანა.

ლვოვი. უმუშევართა დემონსტრაციები მეტის ძალით გახალდა.

კოკოვცევის გადადგომის გამო.

პარიზი. „ტანი“ მეთაური წერილში იტყვიანენ კოკოვცევის დაბახურებას ევეენის ნინაზე, რაიც გამოიხატა რუსეთის ფინანსთა მოგვარებისა და ეკონომიურს წარმატებაში.

სხვა გაზეთებიც აღნიშნავენ კოკოვცევის დაბახურებას.

ვენა. „ფრემდენბლატი“ უძღვნის წერილს კოკოვცევის გადადგომას და აღნიშნავს მის დაბახურებას რუსეთის საფინანსო და საეკონომიო წარმატების საქმეში.

რუსეთი.

სარატოვი. მიწათ-მომქმედთა თათბირზე გადასწყდა საჰიდრო-ტექნიკო და საადგილ-მამულო საბჭოებისთვის გადასადონ 1914 წელს 800,000 მანეთი.

მოსკოვი. სადგურ პუშკინოს მახლობლად სტუკოლოვის ფაბრიკაში აფეთქება მოხდა. დაინგრა საბენზინო გახყოფილება. დაიღუპა 2 კაცი. დაჭრილია 12.

გრადონაჩალნიკმა ხუთას-ხუთასი მანეთით დააჯარიმა „ნოვ“-ი ტ „უტრო როსია“.

ადესა. დუმინინისა და როსტოგოევის აქციონერს მუქარის წერილი მიუვიდა, რომლითაც ბოროტგამზრახველი 5,000 მანეთს მოითხოვდა ჰოლიციამ ბოროტ-გაბზრახველი შეიპყრო.

ანგარიში

წარმოდგენისა, რომელიც სახაზინო თეატრში გაიმართა 1913 წელს 28 დეკემბერს, ქართულ გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის სასარგებლოდ.

შემოსავალი: გაყიდულ ბილეთებისა 1789 მ. 75 კ., პრემიები 89 მ. 50 კ., პროგრამები 97 მ, 75 კ. კონფეტები 28 მ. 65 კ., შემოწირულება 70 მ. სულ—2075 მ. 60 კ.

ხარჯი: მიეცა „ამხანაგობას“ 600 მ., საქველ. დაწესებულებათა გადასახადი 89 მ. 51 კ., ტანისამოსის შეკერვა 155 მ. 70 კ., პროგრამებისა 36 მ. 20 კ., კონფეტები 6 მ., დასაპატიჟებელი ბილეთების დაბეჭდვა და მათი გაგზავნა 16 მ. 30 კ., მოსამსახურეებისა და წვრილი ხარჯი 7 მ. 85 მ. სულ—911 მ. 56 კ., ხარჯების გამოკლებით წმინდა შემოსავალი—1,164 მ. 9 კ.

ამ ფულის ანგარიშიდან ჯერ მიღებული არ არის დაგზავნილ ბილეთებისა—160 მ.

შემოსწირეს: ბაქოდან თ-დ ლევ. ა. თუმანოვმა 50 მ., თ-დ კიტა აბაშიძემ 10 მ. და გრ. ივ. გველესიანისაგან 10 მ.

პრემიები გამოუგზავნეს: მ. ბ. რობიანკომ 10 მ., კნ. გ. ი. ამილახვარმა 10 მ., ვ. მ. თამამშევამ 10 მ., თ-დ ლ. ლ. მაღალაშვილმა 10 მ., ნ. ა. მელიქიშვილმა 8 მ., თ-დ მ. ი. თუმანიშვილმა 5 მ., ნ. ი. საგინაშვილმა 3 მ., თ-დ დ. ა. გურამიშვილმა 3 მ., კნ. ელ. მუხრანსკისამ 3 მ., თ-დ ბეგთაბეგიშვილმა 3 მ., გ. ი. სერებრიაკოვმა 3 მ., თ-დ ვ. ა. ქავქავაძემ 3 მ., ელ. ს. მირზაშვილისამ 3 მ., თ-დ რევ. ერისთავმა 2 მ., თ-დ ქობულაშვილმა 2 მ. თითო მანეთი: ექ. დ. გედევანიმ, ლ. ი. დეგენმა, თ-დ სუმბათოვმა, ალ. ბახმეტიევმა, თ-დ მიქელაძემ, თ-დ მ. ანდრონიკაშვილმა, გ. ყარანგოზიშვილმა, ბ-ნმა ნიკოლაევმა, მდივანმა. ათ-ათი შაური: ექ. ხალათოვმა, დოლგოვმა, ი. ელეფთერიძემ, რ. მელიქოვმა, აფუხაზმა, სულ—89 მ. 50 მ.

მშობელთა წრემ გულითად მადლობას უძღვნის საღამოს გამგეს კნ. ელისაბედ ირაკლის ასულს ჯამბაკურ-ორბელიანისას, პრემიების გამომგზავნელთ და შემომწირველთ, ქ-ნ ლოტს, კანფეტების შემოწირვისათვის, ქართულ გიმნაზიის მოწაფეებს და ყველას, ვინც კი საღამოს ხელი შეუწყო.

ბაბილარული

ილია ქავქავაძის სახლის გამოსასყიდად შემოსწირეს კიდევ შემდეგ პირებმა:

1.	თ. ს. რ. ვახვახიშვილმა	25 მ.
2.	ექ. ი. გ. გიმართელმა	50 „
3.	მდივ. ი. ფხაკაძემ	50 „
4.	ი. ს. ღულაძემ	25 „
5.	ექ. დ. ახვლედიანმა . . .	25 „
6.	მსახ. ი. ივანიძემ	25 „
7.	ნ. გ. სიხარულიძემ . . .	50 „
8.	ვ. მ. კახიძემ.	25 „
9.	თ. დ. ა. გურაბიშვილმა	25 „
10.	გ. ი. თულაშვილმა . . .	25 „
11.	ეგან. თ. მ. ა. გრუზინსკიმ	25 „
12.	თავ. ი. გ. მაღალაშვილმა	25 „
13.	თავ. მ. ი. ჯამბაკურ-ორბელიანმა	25 „
14.	ექ. ვ. მ. მანსვეტაშვილმა	25 „
15.	გ. ბ. გვაზავამ	50 „
16.	ს. ს. ელიოძემ	150 „
17.	თავ. ი. გ. ჯორჯაძემ . .	25 „
18.	მ. ლ. ქართველიშვილმა .	25 „
19.	ექ. ა. ი. ბალარჯიშვილმა	25 „
20.	თ. დ. ა. ფაღლანიშვილმა	25 „
21.	თ. ლ. ლ. ჩერქეზიშვილმ	20 „
22.	თ. კ. ზ. მაყაშვილმა . .	20 „
23.	ლ. ა. ფურცელაძემ . . .	20 „
24.	ი. პ. მგალობლიშვილმა.	20 „
25.	ს. ნ. ყაზახიშვილმა . . .	20 „
26.	ს. ვ. ყიფიანმა	20 „
27.	თ. ნ. დ. ერისთავმა . . .	20 „
28.	რ. ვ. გვამიჩავამ	20 „
29.	ა. გ. ქართველიშვილმა .	20 „
30.	გ. ი. დუბახამ	20 „
31.	ს. გ. კლდიაშვილმა. . . .	20 „
32.	კ. ა. დგებუაძემ	20 „
33.	„სახალხო გაზეთი“-ს რედაქციის საშუალებით .	220 25
	ჯამი	1210—25
	წინეთ შემოწირული . .	1790 მ.—
	სულ . . .	3000 მ. 25 კ.

წერილი რედ. მიმართ

პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო! ნება მოგვეცით ჩვენ ქართველ ქობულეთელ მაჰმადიანებს თქვენი გაზეთის საშუალებით გულწრფელი და ულრმესი მადლობა უძღვნათ ყოველად-სამღვდელო ლეონიდს, ეპისკოპოზს გურია-მეგრელიისას, რომელმაც დიდი და დაუფასებელი შეწეობა აღმოუჩინა ქობულეთის უფასო სახალხო სამკითხველოს ქართული წიგნების შემოწირვით და ფულად დახმარებით. ზემო აღნიშნულ სამკითხველოს მათმა მეუფებამ გასულ წელს უძღვნა ასი მანეთი და ამ წელს კიდევ ორმოცი მანეთი. გარდა ამისა, როგორც ხმები დადის, მათი მეუფების შუამდგომლობით მიღებული იქნება სრულ პანსიონზედ ორი ყმაწვილი ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანი, ერთ-ერთ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში.

არასოდეს არ დავივიწყებთ, რომ ქობულეთის უფასო-სახალხო სამკითხველო დაარსდა მათი მეუფების შეწეობით. პირველი წვლილი დასდო ყოველად-სამღვდელო ლეონიდმა და მანვე ჩაყარა საფუძველი წიგნთ-საცავისა. შემდეგ ამისა სრული იმედი გვაქვს ჩვენ ქობულეთელებს, რომ ჩვენი ძმები ქართველი ქრისტიანები მიჰბაძავენ ეპისკოპოზ ლეონიდის მაგალითს; არ დაივიწყებენ, რომ ჩვენ ქართველები ვართ ტომით, მხოლოდ მაჰმადიანები სჯულით და სამშობლო კი ერთი გვაქვს; შემდეგ ამისა გამოგვიწვდიან ხელს, შეგვასწავლიან ქართულ წერა-კითხვას და მით მოგვცემენ საშუალებას, მათთან ერთად ვემსახუროთ ძველად ქებულს-განათლებულს სამშობლოს—ივერიას.

ქობულეთის სამკითხველოს გამგეობის წევრნი ქართველ მაჰმადიანები: **ცოგაძე ხაფამ, ეფენდი. გულვაძე გაიკალიხშვილი. რომან. ქართველი მაჰმადიანი ბოლმანი.**

რედაქტორი ნ. **კუარდელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან ბაქოს.

ბაქოსაკენ: № 6, ჩქარი პლაკ. დილ. 10 ს. 16 წ., **№ 22, სამგზ.-სახალგაზ** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., **№ 4, საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., **№ 8, სამგზავ.** სალ. 6 ს. 29 წ., **№ 106, ნარეკი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზადი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 4 ს. 23 წ.

ბათომიდასაკენ: № 3, საფ. დილ. 9 ს. 51 წ., **№ 11,** დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). **№ 7, საჩქარო** პლაკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., **№ 9, სამგზ.** დამის 10 ს. 30 წ., **№ 107, ნარეკი.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით დამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, სად. დილ. 8 ს. 2 წ. **№ 19, სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისაკენ: საფ. № 4/3, შუადღ. 12 ს. წ.

ყარსისაკენ: სად. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისაკენ: № 24/23, სახალგ.-სამგზ. [illegible], 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., **№ 21, სახალ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., **№ 7, სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., **№ 5, საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., **№ 106, ნარეკი.,** მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, სამგზ. დილ. 8 ს. 40 წ. **№ 12, სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). **№ 8, სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., **№ 4, საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., **№ 106, ნარეკი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 413 საფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26125 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

ს. ა. გრიაზნოვი

სხვა მასწავლებლებთან ერთად

ამზადებს

გიმნაზიის, რეალურ ტ კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის სასწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. უკვე შემდგარია ჯგუფი გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასისთვის და კომერც. მე-6 კლას. მარიამობისთვის ეგზამენისათვის. იყვანს სრულ პანსიონზედაც. **ფასი,** იზმაილოვის შესახვ., ბელინსკ. ქუჩიდან № 3, მესამე სართული. 43

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

სასანიტარო ეკიმაები

უბნები: 1—2 **ბ. ფომინა-ახალბოგატ**ოვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 **და რუსის ბაზარში ჭრ. ლ. ტალანთარიანი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ნ. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვის ქ., 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ა. მირაქმოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შეტანაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობა შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათა არდაცვას, ცუდს საჯმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდ[illegible] და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო ჰოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში ციყნისქუჩაზე, ნ4, ვლისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო სამკურნალო დახმარება ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის, ალმასრთუბე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თბილისელი** (ვლადიმირის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **პ. ლ. კაკაბაძეშვილი** (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27).

8—9 **ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (ბერნიბის ქ., № 23).

10, 11—12 **ი. ბ. ტერ-ნიკოგოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

ქალაქის სავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ამბულატორიებ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭირო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ეკიმნავასარდიანის

პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძველის პირდაპირ,

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:

„606“ და „914“

11—12 ს. შეუხაკუნება კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავახარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. ბ. ბაბანოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბვეთი, ქალებისა და ბავშვებისა.

ბ. ბ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

მ. ბ. ბეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. ბ. კარაბეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, ანაბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ბ. ტერ-დავიდოვა** 1—2 ს. საბვეთი და ქალების ავადმყ.

საღამოთი:

მ. ბ. ბეტიხიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები ძოიგებით.

საკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავახარდიანი.**

1004

ქ. შ. ნ.-ქ. გამაკარ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

ჩვენი ბელეტრისტიკა:

არაგვისპირელი შ. წ. 1-ლი	50 კ.
„ „ „ 2-ე	40 „
„ „ „ 3-ე	40 „
„ „ „ 4-ე	50 „
„ შიო თავადი	60 „
აბაშელი. მზის სიცილი .	50 „
არბოელი. ყოველის მხრიდან	10 „
არდაზიანი. მეჯღანუაშვილი	50 „
ახნაზაროვი. ლექსები და სცენები	60 „
ახოსპირელი. ჩემი ნანინა .	10 „
ბარათაშვილი. ლექსები .	40 „
ბაჩანა. დიაკვნიანი . .	20 „
ბესიკი. . . .	1 მ.— „
გაბაშვილი ე. თხზულებანი	1 მ. 20 „
განდეგილი. ლექსები და მოთხრობები . . .	50 „
გედევანიშვილი. გამცემი .	25 „
გრდემლი. სალიტერატურო კრებული წ. 1-ლი .	1 მ. 50 „
„ „ 2-ე .	1 მ. 50 „
გრიშაშვილი. ოცხ. კოცნა	10 „
„ ბროლის ღიმილი	10 „
გურამიშვილი დ. „დავითიანი“	1 მ. „
დუტუ-მეგრელი ტ. 1 ლექსები	70 „
„ „ 2 მოთხრობ.	70 „
ერისთავ-ხოშტარია. კამისია	15 „
„ მოლიპულ გზაზე	1 მ.— „
„ ბედის ტრიალი	60 „
ერისთავი რ. თხზ. ტ. 1.	1 მ.— „
„ „ „ 2.	40 „
ერისთავი გ. რჩ. ნაწერები	60 „
ერისთავი დ. დრამ. თხზ.	1 მ.— „
ევდოშვილი. ლექსები და პოემები . . .	60 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. гр. гр. нас.

თეგზის მრეწველნი

ძმ.

ძეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

განყოფილება

ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ძველ, საკუთარ სახლში.

იყიდება

იმავე ხარისხის

საქონელი,

როგორც პუშკინის ქუჩაზე.

ტფილისი, სტამბა „ბრძოლა“ ბუხრახის ქუჩა.